

1395

№ 23-24. 1945 წ.  
გაზეთების წელი XXII.  
წილი 4 მან.

# რეკლამა

თბილისი.  
გამომცემლობა  
"კომუნისტი"

ქვეყნული  
ბიბლიოთეკა



23/11  
6  
20

ლონი

## ხალხის მსახურის ბიოგრაფიკა

ნახ. ლონისა

1. უბედური იყო, როცა ერთს ემსახურებოდა.

2. ბედნიერია, როცა ათასებს ემსახურება.



1. მისტერ სტრონგმა გადაწყვიტა კენჭი ეყარა ქალაქის ერთ-ერთ რაიონში...

# ს უ რ ვ ე რ ე ბ ი რ ე

## საშრობლო

გაზარჯების ზეიმს იხლი,  
მტერი მუდამ დაგიმიწდეს,  
შენი დროშის ელვარება  
მზის სიმაღლეს დაე მიწვდეს,  
რომ იმისი სხივი რთავდეს  
შენს ცას, შენს ზღვებს, შენს შთა-ველსა, —  
პირველ ჭკრით შენ გილოცავთ  
სიხარულის ახალ წელსა.

## წითელ არმიას

უძლეველო, დიდ სამშობლოს  
დევეგირული შკლავით იცავ,  
ბრძენი სარდლის ყოველ სიტყვას  
შენს მგზნებარე გულში ღვიძავს,  
მტერს მტრობას არ აპატიებ,  
შეუღწევ გულის ფიცარს, —  
იღლეგრძელე, შენს დიდ სახელს  
ჩვენი ხალხი მუდამ ჰფიცავს.

## მომავალ დეპუტატებს

გრიგალი ჩადგი, გვახარებს  
გამარჯვებათა მშვენება,  
იწყება ჩვენი ცხოვრების  
მშვიდობიანი შენება  
და ქვეყნის მართვის დიად ვალს  
ვიციტ, რომ ღირსად დახვდებით.  
ბედნიერნი ხართ, რჩეულნი,  
ხალხის მსახურნი ვახდებით.

## სტახანოვლებს

ნორმის და წესის დარღვევა  
ჩვენში კანონით ისჯება,  
ჯარიმას მაინც ადებენ,  
ამგვარად ვინც გაირჯება.  
მაგრამ თქვენ შრომის დიდ ფრონტზე  
ეს ჩვეულება გეცვლებათ:  
რაც მეტად არღვევთ ძველ ნორმებს —  
მით საამაყოდ გეთვლებათ!  
იცოცხლეთ, ასეთ „დარღვევებს“  
გისურვებთ ყოველ წამითა,  
სამშობლო თქვენით ამაყობს,  
და ჩვენც ვამაყობთ ამითა.

## თბილისს

ჩვენს საყვარელ დედაქალაქს  
ქებამც ნუ მოგკლებია,  
თუმც სიმძიმედ შენც დაგაწვა  
დიდი ომის წლებია,  
მაგრამ იცი მოთმინება  
და წყენის დაეწევა, —  
შენი ახლად აყვავების  
ხანა ისევ იწყება.

## მტკვარს

შენ გენაცვალე, ადიდდი,  
თორემ „ბნელსა ვზი“ უჭრაქოს;  
მონტიორები კი ბჭობენ:  
— „სინათლე გადავუჭრაოო!“

## თბილვაზრობას


თბილვაჭრობის სითბო უყვართ  
ზოგი ქსელის შინაურებს,  
ზოგ „დახურულს“ — დახურულად ხდის  
ვინც რომ „თაფლში თითებს ურევს“.  
ეს სურვილი შეგვისრულე  
თუ რომ ჩვენზე ზრუნვა განთავს:  
საქონელი — მომხმარებლებს —  
პანლური კი — სპეკულანტებს.

## თბილსათოვს

ვიჩქარი, მინდა გახარო  
საინტერესო განზრახვა:  
თურმე ახალი პროექტი  
იოლ საქმეზე გადახვალ:  
ზაფხულში თბილისს მხოლოდ მზის  
სითბოთი მოამარაგებ,  
ხოლო ზამთარში — ყინულის  
ნატეხებს ჩამოალაგებ,  
მაგრამ ერთს ვმიშობ, შენს ხელში  
საქმე ამგვარად არ წახდეს,  
რომ სათბობივით — მზეც, ყინვაც  
ძნელი საშოვნო არ გახდეს.

## ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას

შეგარგოთ გოზინაყი და  
ახალწლის არდადეგები,  
„ლიპა“ ფრიადით არ ვნახოთ  
თქვენი რვეულის თევები, —  
სწავლა თქვენი გმირობა —  
არ დაივიწყოთ ეგვრის.



2. ამომრჩევლებმა კენჭის ყრაზე უარი არ უთხრეს.

# მ ი ღ ო ო ო ო ო

## ზოგინათ სტუდენტს

პროტექციით—უმაღლესის  
ზღრუბლი ვისაც გადულახავს,  
ნუ ჰგონია რომ მით სიბრძნის  
შეძენის გზა მოუნახავს,  
მოდით ნახეთ გამოცდებზე  
საგნის ნაცვლად რაებს ჩმახავს!  
პროტექციით მეცნიერი  
მე ჯეო კაცი არ მიხახავს.  
და ამიტომ მე ერთ რჩევას  
მოგცემთ, ძველსა, არა ახალს:  
ვინც ბეჯითი შრომით თავის  
ცოდნის ხეხილს ვერა კვირტავს—  
ის იქ სოფელს ნუ აკლდება  
და აქ ქალაქს ნუ გვიტვირთავს.

## საქმილარმონიას

გეგმებსა და სურვილებსა  
გობით გვიღვამ მუდამ წინა,—  
შენს დარბაზში—ჩამოსულთა  
გასტროლები ხშირად ბრწყინავს,  
სიტყვას მოჰყვამ, გვინდა ვთხოვოთ,  
(თუ ეს თხოვნაც არ გეწყინა):  
ეროვნულსაც ყურადღება  
მიამტვიე პაწაწინა.

## მხტარაღს

შარშან, შარშანწინ, იმის წინ,  
ათიოდე წლის წინათა,  
ორიოდ კოჭლი ნომერი  
გქონდა განძად და ზინათად,  
დღესაც მას დეჰავ გვივით,  
მველს ვერ უთხარი უარი,—  
ვისურვებ შენც გღირსებოდეს  
ახალი რეპერტუარი.

## კრიტიკოსთათვის

შენი ხათრიოთ, ჩემი ხათრიოთ,  
ზოგჯერ კვახსაც მთვარეს ვადრიოთ.  
ზოგჯერ ცეცხლშიც ყინულს ვხედავთ,  
ყინულში კი—ვიწვით ლადრიოთ,  
გეთაყვანეთ ალალ სიტყვას  
ყელს მაინც ნუ გამოვლადრიოთ.

## ზოგს ჩვენს თაბარს

საიოლო გზის არჩევა  
ავაცილოთ მეღპოენამ,—  
ტრადიციის დაიწყება  
არ ივარგებს თქენმა ლხენამ.  
თორემ რას ჰკავს? სადაც გვინდა,  
რეჟისორის სჩანდეს ხელი;  
აგზ ითო ფარდას და დაგვხვდება  
გაცვეთილი ჩექმის ყელი!

## თბილისის „ღინამოს“ ფანჯურთელავს

ერთი თხოვნა გვაქვს თქვენდამი  
ვთხოვთ „მოწყალემა“ მოილოთ:  
მატჩებს რომ იგებთ ზამთარში—  
ზაფხულობითაც მოიგოთ.

## პოლიკლინიკავს

მსურს ავადმყოფი ექიმებს  
მუდამ მაღლობას უხდოდეს,  
შეიძინოს დღის დაბარებული  
მერვე დღეს აღარ უ დიდეს...  
ნაცნობ ექიმებს ვაფრთხილებ,  
თამარს, ქეთოს და ნინიკას,  
კბილის მოთხრის დროს შეხედონ  
ამ ჩემი სახის მიმიკას,  
და პირში აღარ გამიხსნან  
სამეცადინო კლინიკა.

## დასუფთავების ტანსტს

გისურვებთ:—შრომა-გარჯაში.  
გეპიროთ კარგი ალაგი,  
სუფთად გვენახოს ქუჩები  
ჩვენი კოპწია ქალაქის,  
აღარ ამკობდეს ეზოებს  
ნავაგის ტონა მარაგი.

## წყალსადენს

მუდამ ვხედავდეთ ნატანტარს  
მოჩუხჩუხეს და კრიალას,  
აღარ აგვესოს უწყლობით  
ჩვენი მოთმენის ფიალა.

## ვერის აბანოს

მხოლოდ სიკეთე სწყურია  
ამ სტრიქონების მეველესა,  
არ დაგვესენოთ იქვს დღეს და  
არ გემუშაოთ—ერთ დღესა.

## სასწრაფო დახმარებას

რა ექნა, ნუ დამემღურებით  
ამის მოწმეა ზენაცა,  
ჩვენ წისიერი თქააც ვიცით  
და ზომიერი თმენაცა,  
დასახმარებლად ჩვენ თვითონ  
არ დაგვიძახოთ გენაცა.

## ჩავალიკა

ახ, უკაცრავად: აქ შეეწვეტ,—  
ფიქრი მსურს მოვიმოაგო,  
ახალმა წელმა მოგვისწრო—  
მას უნდა ველაბარაკო.

ფანჯარადნი

ნ.ს. ღონისა





როცა ცხვარი შეეშინა იოსოვს,  
გულწიფილია დირექტორი,  
რა ქნას, არ აქვს მორიდება,  
ცხადად მიაქვს ცხვარსკენ ტორი.

ცხვარს ლომამდე ვინ მიუშვებს,  
„ლომის კერძი“ ატკობს ტურას,  
წლიურ ლიმიტს დირექტორი,  
ერთ კვარტალში ამოწურავს.

დახეთ ტურას არც კი ყოფნის  
ლუკმა ლომის გასაძღვინი..  
განა მარტო ზოობარკში  
დაემსგავსა კატას ლომი?

მ ე კ ვ რ ე

\* \*

არდალიონი განსაკუთრებულ ბირობებში შეხვდა  
ახალწულს. როგორც მისი მეზობლები ამბობენ, არდა-  
ლიონი კი არ შეხვედრია ახალწულს, ახალი წელი შეხ-  
ვდა არდალიონს, მის ბინაში შესასვლელი კიბის მე-  
შვიდე საფეხურზე.

ეს არასასიამოვნო შემთხვევა შემდეგი გარემოების  
გამო მოხდა:

ჩვენი ქვემოდაგამებელი გვირი ოცდაშვიდ-ოც-  
დარვა დეკემბრის მიჯნაზე სამხატურიდან მხარულ  
გუნებაზე დაბრუნდა. სახლში მოხვლისთანავე ცოლს  
შეესიტყვა: და გახუმარტა, რომ წელს აღარ შეჰფერო-  
დათ შარშანდელივით უფერულად შეხვედროდნენ  
ახალწულს.

— ჯერ ერთი შარშან საკმაოდ პატარა კაცი ვი-  
ყავი. სიზმრადაც არ მომეღანდებოდა, რომ არტელის  
თავმჯდომარე გახდებოდი და ჩემდამი რწმუნებული  
დაწესებულება ყოველდღიურად ათასობით ასანთს გა-  
მოუშვებდა. მეორეც ის, რომ შარშან ომიანობის წელი  
იყო, გაგანა ცეცხლი ენთო და უზომო მხიარულება  
სირცხვცელადაც კი ითვლებოდა.

ამ დღიდან სახალწლო გემის შედგენა მოწყვა  
და თან ისიც გადაწყდა, რომ „შეხვედრა უნდა ყოფი-  
ლიყო ძველებური, მამა-პაპური.“

ოცდათერთმეტი დეკემბრის დღემ განსაკუთრებუ-  
ლი მხიარულობით ჩაიარა არდალიონის ოჯახში. მო-  
ზრდილი ღორის თავი მოხარშეს. არდალიონის ცოლმა  
მიიკომ, „ძველეთური, მამა-პაპური“ ჩვეულების მი-  
ხედვით, ხონჩაზე საკვლეველი გაწყვა. ქმარს, როგორც  
ასანთის არტელის თავმჯდომარეს, ბედი აკერად ასან-  
თის ღერის ფორმის ნაჭუქი გამოუტანო, ვარშემო სხვა  
ხორავი შემოუთლა და არდალიონი სამეკვლეოდ გაა-  
მზადა. ხონჩაზე მოთავსებულ დოვლათის მთავარ ობი-  
ექტს ღორის თავი წარმოადგენდა. ამ უიღბლო დღეზე  
საკუთარ ტანს ვაცილებულს, კბილებში მოზრდილი  
ბოლოკი ჰქონდა გაჩრილი და ისე იკრიბებოდა, გეგო-  
ნებოდათ სიცილით მომკვდარად.

არდალიონი ხიხარულიანად ფეხზე აღბრ იდგა  
მის გამო, რომ მის ოჯახში, სახალწლოდ, ღორის  
კვდარი თავიც კი იცინოდა, მაგრამ ამაზე შემდეგ...  
მაიკომ რამდენიმეჯერ განუმარტა მეკვლეუდ გამ-  
ადებულ არდალიონს მისი სამეკვლეო ვალდებულებ-  
ა: უხსნიდა, რომ ხონჩა ხორავიანად ვარეთ უნდა  
აეტანა, მიეგლ-მოეგლო, შემდეგ საკუთარი ბინის  
არებს მისდგომოდა და დაეკატუნებინა.

„რა მოგაქვს?“ — ცოლი ჰკითხავდა.

„დოვლათი და ბარაქა“ — ქმარი უპასუხებდა.

არდალიონს სწყინდა კიდევაც, რომ ყველაფერ  
მას ცოლი ასწავლიდა, მაგრამ იტბიბარს არ იტბიბა  
და ამბობდა:

„მეც, გუშინდელი ხომ არა ვარა!“

საათს ორივე ისარს ხუთმეტი წუთის შემდეგ თორ-  
მეტისათვის უნდა მიეხვინათ. არდალიონმა ხონჩას  
ხელი წამოავლო და გარეთ გავიდა. ყელმოდერებულ-  
მა ამაყად ჩაიარა ელექტრონით განათებულ კიბეებზე,  
კიშკარი გაიარა და ქუჩაში გაიხედა. არავინ ჩანდა  
ტროტუარზე გაიარ-გამოიარა და როგორც კი განსა-  
ზღვრა, „მალე თარმეტს დარეკავს“, უკანვე ჰაბრუნ-  
და სახლისაკენ.

მიუახლოვდა თუ არა კიბეებს, არდალიონის ი-  
ბალზე, ელექტრონისათლემ თქვენი ჭირი წაიღო. კიბე  
ორ ადგილას ამონგრეული იყო და გაძნედა უსინათ-  
ლოდ ასვლა.

— რა ჰქვინა კაცი ვარა! — გაიფიქრა არდალიონმა,  
— საიდან მიხვდი, რომ ასანთი დამჭირდებოდა! — ხონ-  
ჩა ძირს დადგა, — ჯიბიდან საკუთარი წარმოების ასანთი  
ამოიღო და ამაყად მეტად სანტარო ცეცხლის გაჩე-  
ნას შეუდგა.

გაჭკრა ერთი — არ აინთო, გაჭკრა მეორე — იგივე  
განმეორდა. ასანთის არტელის თავმჯდომარის ხელში  
ოცდაოთხივე მარცვალი უშედეგო ფხაკუს გადაჰყვა.

ვერ იქნა, ვერ გაჩნდა სინათლე.

ამ დროს კიბეებზე რაღაცა ლანდი გაჩნდა. ხონჩას-  
თან მიიჩინა, რაღაცას დასწვდა და უკან ფხაკა-ფხუ-  
კით ჩაირბინა. არდალიონმა ხონჩას დაყოლა ხელი,  
კარგად მოსინჯა, ღორის თავი აღარხად იყო.

— რომელი ხარკი — აკასკალიფული ხმით იკითხა  
შეშინებულმა. ხმა არავინ გასცა.

„ლბ-დ შევაშინე და გაიქცა“ — იფიქრა არდალი-  
ონმა და გულდადა შეჰკივლა:

— ხელები ძალდა, თორემ გესვრის!

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ვიღაცა კაცის  
ლანდი გამოჩნდა. ხელები ძალდა ასწია და ამოიკვსესა:

— რას მერჩი, არდალიონ, რა დაგიშავი?

ეს არდალიონის მეზობელი იყო, ელექტრომონტიორ-  
ი ზოსიმე.

— რა დროს ხუმრობაა, რა უყავი ღორის თავი?! —  
ბრაზით წარმოსთქვა არდალიონმა.

— რა ღორის თავი, რას ამბობ, კაცო?! — იკითხა  
გაკვირვებულმა ზოსიმემ.

— რა ღორის თავი და ხონჩიდან რომ მომტაცე!

— უი შენს ცოდვას, ქუჩაში რომ მოვდიოდი, ძალ-  
ლი რაღაცას მიარბენინებდა, ალბად ის იყო. — მიუგო  
ზოსიმემ.

არდალიონმა ხონჩა მათკოვა და მეზობელთან ერ-  
თად ბოროტმომქედს გაეკიდა. მაგრამ როდის იყო,  
რომ გაქცეულ ძალს კაცი დასწვდია, ისიც სიბნელეში

(აქვე საიდუმლოთ უნდა გითხრა, რომ ხონჩასთან  
არდალიონის დაბრუნებამდე, მისი ბედის კვერთხი და  
ხორავის სხვა მცირეოდენი ნაწილით ბეზობლის კატამ  
ისიამოვნა).

— ეს სინათლე რაღა ეშმაკმა ჩააქრო! — ჰკითხა  
ზოსიმეს დაღონებულმა, ხელცარიელმა არდალიონმა,

მონტიორი უცბად ვერ მიხვდა, რომ არდალიონის  
წარალი უსინათლობით იყო გამოწვეული და გამოტყდა:

— იქითა კვარტალის ხალხმა სახალწლოდ არაფე-  
რი იკისრა. გაბრაზებული ბოძე ავედი, რომ სინათ-  
ლე გადამეჭრა, მაგრამ მთელი უბნის ხაზი გადამეწვა,  
შუქი არ მქონდა, ხვალამდე არაფერი გამოვა...

„სულ შენი ბრალი ყოფილა, დაგეცა ოჯახიო“,  
გულში გაიფიქრა არდალიონმა, ხონჩას ხელი წამოავ-  
ლო, უხმოდ ავიდა კიბეებზე და კარებზე მიაკატუნა.

— რა მოგაქვს? — ჰკითხა ცოლმა.

— ჯანდაბა! — მოკლედ მოსჭრა არდალიონმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მაიკო ძალზე გააკვირვა არდა-  
ლიონის პასუხმა. ჩაფიქრდა, „ხუმრობით, შემოკლე-  
ბულს ხომ არაფერს ამბობს ჩემი მეკვლე ქმარიო“ და  
უცბად დაასკვნა, რომ „ჯანდაბა“ ჯანმრთელობის და-  
ბას ნიშნავს. მაიკოს ვაეღმა ქმარის ხუმრობაზე და  
კვლავ იკითხა:

— რა მოგაქვს?

— ღვთის ცეცხლი! — დაიყვირა არდალიონმა და  
წიხლნაკრავი კარები კედელს მიეჯახა...

\* \*

აღვივის გაძიებელი

თბ. რკ. გზის 4 სკოლას მერხები  
არ აქვს (კორესპონდენტიდან)

ნახ. ღონისა



ვედაგოგი — ბავშვებო! ასე ფართელ რომ დამ-  
სხდარხართ ცოტა გაიწიეთ და მეც ჩამომაჯინეთ, თო-  
რემ ფეხზე დგომი მოვკვდი კაცი!

მეორე დღეს არდალიონის ოჯახში გასურებული  
ქეიფი იყო. არტელის თანამშრომლები სადღეგრძელოს  
სადღეგრძელოზე სკლიდნენ და გრძელ-გრძელ სიტყვებს  
ამბობდნენ მათი არტელის მიღწევების შესახებ.

არდალიონი კი გაშტერებული იჯდა და ყოველ  
წუთს თვალწინ დგო კბილებდაკრეტილი, ბოლოკაჩ-  
რილი, გაცივებული ღორის თავი.

ნეტავი ნატვრა გვანატრა,  
ეს ნატვრა აგვიხდებოდეს:  
ორმოცდაექვსის ზამთარში  
სკოლები გავვითბებოდეს.

ბავშვი უმერხოდ არ დარჩეს,  
თითოზე ორი ჯდებოდ ს,  
მინებჩამტვრეულ ფანჯრებში  
სიცივე აღარ ძვრებოდეს.

სკოლის ოთახი, დარბაზი  
ყოველდღე იწმინდებოდეს.  
ნავთი, შეშა და ნახშირი,  
სკოლებსვე მოხმარდებოდეს.

ნეტავი ნატვრა გვანატრა,  
ეს ნატვრა აგვიხდებოდეს:  
ეს სახალწლო სურვილი  
ყველა წინ დაგვიხდებოდეს,  
ჩვენი ბეჯითი სწავლითა  
მშობლების გული ტკბებოდეს.

ნუკრი



— დამშვიდდით მოქალაქენო! ეს საზამთრო მოსავალი ყველას გვეყოფათ ამ გაზა-  
ფხულამდე.

## მ ა ტ ვ რ ი კ ვ ა მ დ ი

კარგა ხანი იყო გასული მას აქეთ, რაც ვერის აბანოს თავზე ის სასიამოვნო  
კვამლი აღარ დამენახა, რომელმაც იმ დილით ჩემი მარშრუტი შესცვალა და  
ძველი ტფილისისაკენ მიმავალი—იმ გზაზე დამაყენა, რომლის მოგონებაც ტანში  
მზარავს...

ამბობენ, რაც გაივლის, ყველაფერი ტკბილ მოგონებად იქცევაო.

შესაძლოა მოგონებით დატკბობამდის ვეღარ მივალწიო...

ამ სტრიქონებს ლოგინში ვწერ, გულაღმა მწოლი. თერმომეტრი 40°-ს მიჩვე-  
ნებს.

ამიტომ, ჯერჯერობით მინდა, ის მწარე განცდები დაგიხატოთ, რომელიც  
იმ კვამლის დანახვამ გამოიწვია, ზევით რომ ვახსენე.

ბო-და, გაბარებულმა, რომ ტრაპეზის ლოფინს, პალტოს ფოლაქების დაკარ-  
გვასა და სხვა ათასგვარ უსიამოვნებათ ავიცილებდი, მკობარს შევუძახე.

საბედნიეროდ, შინ არ დამხვდა, გადარია. ასცდა ჩემს ბედს.

მატერიალური ქუჩა უხმოდ გავიარე.

აი აბანოც.

სალაროსთან დამყარებულმა წესრიგმა (სადაც ხალხი არ არის, იქ წესრიგის  
დამყარება ადვილი უნდა იყოს) და მოლარის მობუხულმა მხრებმა ეკვის პირ-  
ველი შხამი ჩამაწვეთეს, მაკრამ ბილეთი უკვე ხელში მეჭირა. ბილეთის აღებაც  
მხოლოდ იმან დააგვიანა, რომ მოლარე ხურდას ეძებდა.

შხამის მეორე წვეთი კონტროლიორის პირქუშმა სახემ და ორაზროვანმა  
პასუხმა დამცა.

— აბ. ნოში თბილა? — შევეკითხე მე.

— მეორე დღეა დავანთეთ-და...

გასახდელ ოთახში შესულამდის იმაზე ვფიქრობდი, თუ რას უნდა ნიშნავდეს  
ს. მეორე დღე...

ორი დღის ცეცხლი, ჩემის აზრით, საკმარისი უნდა ყოფილიყო არამც-თუ  
აბანოს გასათბობად, მის გადასაწვავადაც-კი...

ელდის მესამე წვეთი გასახდელ ოთახში დამეცა: აბანოდან გამოსულთა სა-  
ხეები საიმედოს არაფერს ძიქადდა.

როცა აკანკალებულმა გაყინულ იატაკზე გავირბინე და რაღაც გაურკვეველ  
ბურუსში აღმოვჩნდი, „წვეთების“ თვლას თავი დავანებე, რადგანაც აქ, გაოგნე-  
ბით გაჩერებულს, საკმაროდ გრილი, უთვალავი წვეთების შხაბუნა წვიმა გადაუ-  
ღებლად მცემდა თმებზე, სახეში, ტანზე...

აბია... რატომ პირ ეღს, მეორეს და მესამე წვეთს არ დაუჯერე, იდექ და  
ისიამოვნე! აგვისტოში ამ ბედნიერებას დანანებით მოიგონებ... ვუთხარი თავს  
და ხელების ფათურით ონკანის ძებნას შევუდექი.

ქეშმარიტად შეყინული ტბორების გატოპვის შემდეგ ჩემი დასუსტებული  
ხმაც შეუერთდა მათს გრგვინვასა და ქუხილს, რომელნიც რძისფერ ბურუსში  
გაუჩინაოებულნი ილანძვებოდნენ, უხმობდნენ ვილაცას, მოითხოვდნენ სინათლეს,  
სითბოს და თქვენ წარმოიდგინეთ წყალს-ც-კი.

შემემინდა, მეგობრებო, შემემინდა... სულ დამავიწყდა სიცივე, აცახტახებუ-  
ლი ყბები გამიჩერდა... და, ვეძებდი კარს, აბანოდან გამოსაქცევ კარს, მეც  
გწყვილიდი, გწყველიდი, მაგრამ იციო ვის?.. განა ვერის აბანოს, მის დირექტორს  
მეჭისეს ან...

არა! კვამლს, იმ კვამლს, რომელმაც მარშრუტი შემაცვლევინა და ორბე-  
ლიანთა აბანოში მოსალოდნელ სიამოვნებას ამაცდინა!

მაგრამ დავეხსნათ, ყველაფერი ისევე ჩემი ბოლია... ჩხიდან რატომ გადა-  
ვუხვებე. ამიტომ უთქვამთ ძველებს: გზიდან გადახვევა არ ვარგათ! ეს ანდაა  
ჩემის აზრით, ასე უნდა შეიცვალოს:

— გზიდან გადახვევა ვერის აბანოში მიგვიყვანს...



ტ. . . ტრესტის კ. . . . ის განყოფილების გამგე, კაცო დინჯი და კეთილი, რომელიც გაჭირვების ტალკვესი და ხიდი იყო სხვა განყოფილებათა ქუშ განმგებლებთან დასაკავშირებლად, იმ დილით უცნაურად აღრენილი და აფორიაქებული გამოცხადდა სამსახურში.

— სსს. გამაფრთხილებლად წაისისინა რომელიღაც თანამშრომელმა და ყველამ იტვირინა, თავი ჩაჰკიდა. დღემილი ჩამოწვა კანცელარიაში, საანგარიშოებიც უჩქამოდ ირჯებოდნენ... მარტო იჯდა გამგე ამღვრეული და აღშფოთებული. ვერავინ ბედავდა კაბინეტის კარის შეღებას. ესმოდა ზოგჯერ, როგორ მოუახლოვდებოდა აფაციცებული ნაბიჯები ზღრუბლს, კარის სახელურიც დაიწვედა, მაგრამ ვიღაც კრთომით წაიჭრჩხულებდა და ნაბიჯებიც აკრფეფი გაშორდებოდა იქაობას.

ნეტა ვინმეს გაებედნა შესვლა, ნეტა ვინმეს გასწყრომოდა ღმერთი. გაფიცებულ გულის ბუხარს დაიბერტყდა და ეგებ ოდნავ დამშვიდებულყო. მაგრამ არავინ შედიოდა და ამის მადლობელიც იყო გაოგნებული ადამიანი, — რას ერჩოდა რომელიმე უდანაშაულოს, ვინ უწყის რა სათუთი გული დაეკოდნა გაუზომავი სიტყვით.

— ახ, რატომ არ მივბეგვე, რატომ არ მივბეგვე? — ხმამალა წამოიძახა ბოლოს და ხელის გული მოიფხანა. უცებ თვალები ფართოდ გააღო და ხელის გულს დააკვირდა.

— აი, აჰა, ესეც ხელის გულის ქავეილი... ამბობენ ფულს ნიშნავსო! — ესეც ხმამალა სთქვა და ყურები სცქვიტა: „ახ, ფული, ფული!“

მაშინ ხომ არც ისე ცუდ ხასიათზე იქნებოდა, აღარც ცოლის მიბეგვას ინატრებდა... მაგრამ ხელის გული ჰქავეა, განა ივანებს და. თავს რტყუებს? მართლა ჰქავეა. ნეტა მართალი იყოს გადმოცემა, ნეტა მართლა ახდეს, ეს ერთხელ მაინც ახდეს მხოლოდ ერთხელ... ვითომ რატომ არა!.. გადასინჯა ფულის მიღების ყველა საშუალება: ჯამაგირი? — თვის პირველი რიცხვები იყო; ჰონორარი სარჩევო მასალების დამუშავებისათვის? — მიღებული ჰქონდა; მივლინება? — გზაშიც არ იყო; პრემია? — ჰო, ეს კაი გვარიან შემოსავალს მისცემდა. მაგრამ კვარტალის დასრულებას მთელი თვე აკლდა... მაგრამ ხელის გული მაინცა ჰქავეა, ისე ჰქავეა, რომ დაჭრილი ფრჩხილებით ვეღარას აწყობს. მაგიდის ძვიდეს უხახუნებს ხელის გულს.

— ახ, ის დაუმცხრალი დედაკაცი... არნადით რო შეხვეტო, მაინც არა ჰყოფნის... უნდა მიმბეგვინა, უნდა მიმბეგვინა! — იმეორებს ხმამალა, — მაგრამ როდემდ ს?! გაყრა — სხვა გზა არ არის, გაყრა; ამ აღმოჩენამ ოდნავი შვება აგრძობინა.

„გაყრა, გაყრა!“ აკვიტებით გაიძახოდა და ბოლთას სცემდა კაბინეტში... ზღრუბლთან ფეხის ხმა შეწყდა და მიუხედავად გამაფრთხილებელი ჩურჩულისა, კარი მაინც შეიღო. აჰა, გაბოროტებულმა ადამიანმა კბილები დაკრიჭა. უკვე დაავწყდა ცოლთან წაკინკლავება და შფოთი, მის წინ იდგა წელში ოდნავ მოხრილი, მალა-

ლი, თვალწვრილა კაცი, რომელიც აგერ რამდენიმე დღეა გვიწვრივ ბლა მის პატიოსნებას.

— თქვენ ამით აბა რა დაგიშავდებოთ?! — შემპარავი ხმით ხმ. ბობს ეს, თვალს არ უსწორებს შეფიცებულ გამგეს და ხელდა გაფაციცებით გადააქვს ერთი საგნიდან-მეორეზე, თითქოს სამალავს ეძებსო.

— რა ვუყოთ რომ ცოტა რამ საეჭვოდ გეჩვენებათ, სხვებს თქვენებრ ს ღი გონება როდი აქვთ, რომ რამეს მიხვდნენ. თქვენც თვალები დახუქეთ და მორჩა!.. აი, საბუთები, ბეჭედი, შტამპი, ხელწერა და სარეგისტრაციო ნომერი, — ყველაფერი რიგზეა... მერე რა კარგად აწყობილი და აკინძული... საბუთები ისეთია, წყალი არ გაუფა... თქვენ რაღა გითანაღრებო გულს, სხვა ხომ საბუთის მეტს არაფერს დაგიდევს? თქვენც აღექით და წააწერეთ... ამით რომ რამე დაშავდებოდეს, განა მე გავკადნიერდებოდი და შეგაწუხებდით?

ამ სიტყვებით მაგიდას მიუახლოვდა. კუთხიდან ჰხედავდა განყოფილების გამგე, როგორ გამოსწია უჯრა, პალტოს სახელოდან ნელნელა გამოაცურა შეკვრა და უჯრაში ჩასდო, მერე თავი აიღო და გაიღიმა:

— მხოლოდ ერთი ხელის მოსმა, მხოლოდ ერთი!... — გუშინაც ასე მოხდა, იმ შეკვრას ხელი დაავლო განყოფილების გამგემ და თავში ესროლა კადნიერს, მაგრამ დღეს საოცრად გაოგნდა და მოჯადოვდა. თითქოს უეცრად მსუბუქი ფრები გამოსხმოდეს, ზემიამფრენდეს და საღდაც შორს, ღრუბლის ფრთილებიდან ნათელმოსილი, სათნო მეუღლე სალუქ ხელს უქნევდეს... მკაფიოდ არ ახსოვს რა მოხდა. ეს ლანდი კი არა შორდება: მეათედ მოიხარა მალალი, თვალწვრილა ადამიანი, მდაბლად დაუკრა თავი და გაბრწყინებული სახით გაიგდო კარი...

გამგე ფიცხლად ეცა უჯრას და შეკვრას შეეხო, — უცნაურად დამცხრალიყო ქავეილი ხელის გულისა, რომლის ქვეშ გაუტეხავ ფულები ეწყო... უნდოდა აღშფოთებულყო, მაგრამ გული მხოლოდ უთრთოდა; უნდოდა რისხვიანი გახდომოდა სახე, მაგრამ მხოლოდ საცოდავად იღმიქებოდა; უნდოდა ეყვირნა შეურაცყოფილს, მაგრამ მხოლოდ ჩიფიფებდა; უნდოდა კირისოფლი მოეწმინდა, მაგრამ შუბლი ულაპლაპებდა; უნდოდა ხელი მოეშორებინა უწმინდურისათვის, მაგრამ მეორეც ეტანებოდა... ჰოი, რა დიდ ქენჯნას და სალბუნს, რა ძრწოლას და სიამეს, რა რისხვას და სიხარულს განიცდიდა!.. და ყველაზე უცნაური ის იყო: თითონ სურდა ქენჯნას, ძრწოლას და რისხვას დაეძლია, მაგრამ რატომღაც სიამე, სალბუნი და სიხარული ერეოდა. ამაზე მეტი საოცრება?!

განყოფილებაში ხმა გავარდა, გამგე მებრად კარგ ხასიათზეაო... იღებოდა და იხურებოდა კარი, მიდიოდნენ და მოდიოდნენ... უარი არავინ გაუსტუმრო ბია... კეთილა იცინოდა, ხეშრობდა, ქათინაური არავ სთვის დაუკლია, თუმცა-ღა უნდოდა შეურაცყოფილი და ბოროტი ყოფილიყო...

ოთარ ჩხვიძე

თბილისი — გუშაჩასვი 17:6



ნახ. ღონისა


— ამ იმის შემდეგ კიდევ ერთი იმა გადავიტანე ვეაობაში: სვილმეტივერ მიმი-  
წა მიწინააღმდეგის თავდაცვის ცარღვევა.

მ ა ნ ი ა

მზე ფანჯარას მოადგა  
უკვე დიდხანია,  
მაგრამ ისევ ღოგინაში  
წევს კეკლუცი მანია.  
ხამხამურში წახვლის წინ  
არის გაწამაწია,  
ქმარი ჩქარობს ხაქმეზე,  
მუყაითი კაცია  
შრომა არ ეზარება,  
მას ქვეყანაც აფახებენ,  
მაგრამ იგი ცოლისთვის  
ვერ შოულობს ათახებს.  
ცოლი ეწუწუნება:  
— „შენ გჯობია დღეს ყველა  
ვერ მივიდე ხაათი,  
ვერც „შუბა“ და ვერც მეღა.  
ყოველ კვირას აკერავს  
ახალ კაზახს ქხენია,  
მე კი ძველია დავდივარ,  
როგორ არა გრცხვნიან!  
ქმარს არ ყოფნია ხელფასი,  
ბრაზი ახრჩობს მის დაცხს:  
„გამხადარყო მენავოთ  
სწავლას რატომ მახდის!“

ბერიძე

# ბავშვების ახალწერილები



წმინდა ანტონის  
განცხადებენ  
გთხადონ მთელი რაიონის  
თბილისის ქუჩები და სხვადა  
თავისთვის თქვენთან საძებნად  
რაიონის წინააღმდეგობის  
მედიცინა (1945) ნიკოლოზ  
მედიცინა  
გამოხატული სიყვარული  
უფროსი ბავშვებისთვის  
ნია ბიბიანიანი  
1945-46



ჩრდილ დას 12 საათზე შევდგნენ ისინი ერთმანეთს  
ჯანმრთელი და ხალხის სიყვარული ახლავს ჩვენს  
ტყუილად უმჯობესობას ერთმანეთს. მივიღეთ  
სასიყვარულო 1945 წელი. მივიღეთ საბავშვო ვერაგ მძა  
დი, უფროსი წარმართებისა და მიწების აღმშენებელი  
განმარტებისათვის ძველმა წელმა ახალ წარმართება  
ქალმა, დიდი საბავშვო ვერაგ წინა 1945-46 წელს ჩვენი  
მე დიდი იმე ვაფარებ. საბავშვო და ხალხი ვასილ  
წვენი. ზოგჯერ იმე მიწა აღმოაჩენს გვიდი და გვი  
და ვინაღმ მიწავედ იმეში!

თბილისის ქუჩათა, სიციხეებისა და იმედი...  
სურვილი გული ვაღმობილდეს და ქალის.  
1946 წელი, მივიღეთ ძველი, მაგრამ მარად  
გამარჯვებით სიყვარულით წარმართული მისივე  
ძველი აზრებით.  
საუბრალოდ წაიშინებთ ბავშვებს  
21 იანვარი 1946  
მედიცინა სიყვარული  
განცხადებენ

1. ჩვენ დროს წმინდა ანტონის თხოვნით ჩვენს საბავშვო სკოლაში დაიწყო მუშაობა.
2. ჩვენს დროს წმინდა ანტონის თხოვნით ჩვენს საბავშვო სკოლაში დაიწყო მუშაობა.
3. ჩვენს დროს წმინდა ანტონის თხოვნით ჩვენს საბავშვო სკოლაში დაიწყო მუშაობა.
4. ჩვენს დროს წმინდა ანტონის თხოვნით ჩვენს საბავშვო სკოლაში დაიწყო მუშაობა.
5. ჩვენს დროს წმინდა ანტონის თხოვნით ჩვენს საბავშვო სკოლაში დაიწყო მუშაობა.

ძველი წელი შევჩერდეთ, ახალი წელი მაგრამ ჩამოვართვა, გამოვშვდილი და დიდილით უფრო: კიდევ  
ბევრი სხვადასხვა მუშაობა, მაგრამ დანახვებს უნდა ითხოვს წმინდა ანტონის თხოვნით, თვალის ჩვენს უფრო გვირგვინს, ქალღმერთს  
შენი და დიდი მოედებს!



(შუგალი)

(კ. მახარაძე)

ამირბული ხალხი სწორედ: დღემდე მიჩინა-გაბრძობის კინონებს ამბინებო, აშკარა ცილისწამება. ცოცხალი ფაქტებით დაეპოკეთ, რომ კანონებს არ ვამბინებო.

გაბრძობის შესახებ ყველა კანონი, დირექტივები, ცირკულირები, ბრძანებები მე „საკანონო“ ლამაზად შექმნა ჩაყრბული, ლამაზადი დასავი მათ შემოვლის ნომრები, მიღების ათობლები მათ შევინახე სასეილოურ, ცეცხლგამაღ ყუთში, ყუთი საიწილოდ დაკეტულია. ვასაღები თან დამატეს, ხოლო ახალმღებულ დირექტივები მიწევი მთელ გადავარბო მავიდაურ, რომელბუდაც სქელი მინაა დაღებულა.

დირექტივებზე არაფერი წამბობაჯნია, მათთვის გვერდი არ ჩამბობილჯია. მელნით არ დამბინებია, ფანქრით არ მომბობაჯნა, — უკრით სიტყვით, არ დამბინებინებია და მათი შენარჩუნებული აქვთ თავიანთი პირვანდელი სახე.

მე ვანა ინტროგა არ არის ამის შემდეგ ლაპარაკი იმბე, თითქმის გაბრძობის კანონებს ვამბინებდემ.

საგაბრძობად რამდენიმე ბანკა კარაკი, სხვა ცხინბული და ბუთოლოდ კილოგრაში შეპარა გამოვიტანე ნორობის მევით და რიგეპრობის კონტროლიორებს დაგავილ ჩამოიყურებო იგი მალბინისათვის. ჩემი განკარგულება კონტროლიორებმა არ შეპარულეს.

„აბულშემატიკობებს“ დამბინებო ისიც კი არ იქონა, რომ ცხინბული მალფეკი პროლეტკო და რაც სწორად ვასაღებმა, მით უკეთესია, დანაკარგების აცილებების თვალსაზრისით!

შავრამ იგი ვამბობ, ინტროგა მეთე, აშკარა ინტროგა. — ანა გვერდით მე სიდეგ მომსმინეთ.

ფურნიდან რაც კილოგრაში თეთრი პურის ფეკლი გამოვიტანე და ხელწერილ. მიეცი გამატეს, — მივიღე და გავავარბე მეთე“.

„რატომ არ გავფორბეო“

ფეკლი მოვავლინებ, დავცხობინე ჩვენბურ კვებში, კურბტი ბბლო საკმაოდ მივურთე, გვერცხოც წვეიცებენი, ისე იგი მიღებულ ფეკლი გავავარბე ანუ მას საგაბრძობეს ს ფორმა მიეცი.

შავრამ ინტროგინები რის ინტროგინები იქნებინა თუ ამის დაინახავინ? ეს სიდეგ არაფერი.

ნასაკრალის ჩაის საკუთა მურწინობას ზედმეტად გამოვწერე რე 127 ბუთისგამინი პურის წვიგაეკი. კაცი ვართ. ახელა მურწინობაა. მომსჯელია, მომსჯელია. პურმარბილე ხომ არ დავლიონებ?

გაცემული წვიგაეკის ნაცვლად, იმავე მურწინობიდან ერთი ტომარა თეთრი პურის ფეკლი გამომბატანეს. ეს ფეკლი რაჯნში რატომ მბიტანათ? — თბიან ინტროგინები, ანა, რა უნდა მებნა კაცო, გაღმეყარა თუ?

წარამარა იმასაც ვამბინა: კუბონელბიმე რაიონში 28 ტონა პური უქანოოდ ვასკა და ვანიავაო, აი ბატონო, პირვანდელია ინტროგა:

მესმის როცა პურის სველ მწას (ან თბიან) შესეს და ნიავს გავფენ ვასაბრბობად, ან გავწილს ვანიავებებ. შავრამ ეს კი ვერ ვამბობ: სიღ მებრინა მნა ან ბზე რამე ვამბინებინებ?

პური იყო ბანაში, მე მებრინა ბლოკნორტი და მავად პურის მსურველები—ვიღე და გავიკე, — რატომ და რისთვის? — აბასაც ხომ არ მოვასენებდემ ბატონო, აღბად, ანგარაში მებრინა, იზბად სარფა იყო.

შეიძლება ისიც შეითონ საგვეპრობის რიგეანოფილებიდან რატომ გამოვიტანე ქუთბუკი და ერისკეს კანა და რატომ გავაყვედერბო მანარბე? ეს კი პირდაპირ ამბობული იქნებოდა, შავრამ იგი მოვასენებთ — ინტროგა ბატონო, ინტროგა და სხვა არაფერი.

ასე მსჯელობდა მხარბიის რასისავგრო განუფილების გამბე მხიპოა კუბონელიმე, როცა მას სთინზე ვასეკ ქუბები ეღვა და სიღლდებრბელის ანსაღებდა. ჩენცე უკრბდებთი უკუნბდით, რადგან უოკით, მიხაკის სიმბრბლე უკვარის სმის დროს.

ღუშულის რაიონის სოფ. თინვალის სასტუმროს ფანქრის მიხეტი ჩამტერვლად, თბიანში უსულობაა.

ან. ღვინა

გავიგონა იქნება ფანქარი დაგა სოფელი. რ, რაც ამბებს აქ ხდება, ვნ არის მისი მახარბობა?

წინაფე, უნს აქ მ. მახარბის, უთვალისმხარე ნტარბობა, ვახი: ამბავად, მიხეტი, ჩენცე ახალი სასტუმრო.

ამბავს სასტუმროს შესახებ მთავრე პარად ღვეთაფე, კვლბების შევითბობისას დასმარბად სრბულ ექნა თუცა იმს მთავრბნე და მერე დააკვლია ფანქრის მბინე,

ანაი რამ ქარი დამბრბავს დასაღვე გავიგონებო.

ამ დღესაც შევად და ვნახობ. მე დამბრბენ დობი კაციები. — ავი მდამბელი დამბრბობ, სიქნა... და დიღლ ვანწებე,

ცხიდა ხთობერი აბარ აქვს მუხუბან ღვინა, ხასოუსამ, მე აქობი გაღვარ, სხე წაიქვანენ სხე სტუმარს?

ან, ამ ხალხზე მოღვეც ვე შენს ბარა ჩანალი, ვებს მოვადენე ღვინა, — გამოწერე წაბალი.

ი. დღეგუგუარა

სამგარლის რალი

რად არ ხუღბუღბობ ხანჯას, რა ვამბარბებს რაიონე? რადღე ხორბით დიქე ახალი წელაქალი.

რადი რამ ამბავრბავს დასაღველიან ქაბით, შემოვიტეა მ. მახარბე ფანქრებს აბასავარბი.

რადი რამ ციდან წამბავ წავებინა ხორბარბი.

ღვინა დაგავიგონებო, სხედაბი ტკბილბობარბი.

რადი რამ გვამბარბებს და ღვინას ექნა ქნაბი, მახარბე წელს, მარღვები, ვადგება მახარბე ქარბი.

მეცა რბდის არ ვქნება ღვინა ღრბადი ქაბით? — მეცა უნს მოვადენებ სხე მუღად გავწილო.

ბანბნული ბანი



— ეტსობა ცული მბედვებობა აქვს ჩენცე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარბე. — რიფორ მოხბელე? — მისი სამეოფელის წის შეიღვინასაც კი ანაია ცლნათურბი.

სგალინიის გავარბობ

სტალინირის საღვურისსკენ მივემურბობი. ქუბაში შორეული ქალქიდან ახალი ჩამოსულ მეგობარი შემხვდა, რომელც იმავე მატარბელებით გავგაბრბებს ამბრბობა.

— მგ რა ქუბეში გომეუბობლბარ, მეგობარო, პირდაპირ შეგ ჩამბეკობარბი, თვალბედი ღირ გინას, სათთ ამბრბე? — ცნობისმოყვარულ შემეკობი ის.

— ემე შე სტალინირის მატარბელებით გვავარბობს ვარბობ, — დარბცხებინ მივემე სტუმრე კაცს, რომელმაც ცხალო, არ იცოდა სტალინირი — თბოლისის სტალინირის თავისებურბინი.

მერე და მატარბელები ასეთი ქუბარი რად ვინდა, ცუბა? — კი არ ცუბა, ჰეინა, მსუსხავი ქარბი ღურბურბებს და ძბლბე ბამელ ბატან.

— როგორბ? — ვსთქვი, ვგოგონს არ ათბობენ, შავრამ ქარის რბო უნდა მატარბელები?

— ქარი, მეგობარო, ჩალწილი ფანჯრბიდან შემობის ვგოგონე. ში და რაკი იქ ექნა ხუღბა — მიგ ალარ იცლის.

— კი შავრამ ვე ვკობი სიღა მბიქვე? — ანა რა გვწა, კვარის მანცე ავანთებ და რთვა ჩანებრბულ

ხვრბინი გბგბობთაქაბი

ნან. რ. რბეწიშვილის



— რატომ დღესაც დაბარბენ ეს წვიან, ან შავეწინა? — ან არის ხანტერბაკის ძალბან სქელი ქალაღვბი, თამბაქოსაბენ ან გამბუღვბი.

ისნილი



ნიანგის საახალწლო ნაძვის-ხე

### თავაზიანი

ერთმა კბილის ექიმმა ახალგაზრდა ქალს კბილის ამოღების შემდეგ აკოცა.

— რას ნიშნავს ეს სერ? როგორ ბედავთ?

— მე მიხდოდა დამემტკიცებინა თქვენთვის, რომ შემძლიან განგაცდევინოთ სიამოვნება ისევე, როგორც ტკივილი.

### პაპაჩა ოჯახისათვის

— გიყვართ ჩემი ქალი? შეეკითხა მოხუცი ერთ ახალგაზრდას.

— მიყვარს,— ენებინა და შესძახა ახალგაზრდამ,— მზადა ვარ მოგვედო მისი გულისთვის.

მოხუცმა თავი გაიქნია:

— მე თითონაც ცოტა მატყუარა ვარ,— დასძინა მან:— და ერთი მატყუარა სავსებით საკმარისია ასეთი პატარა ოჯახისათვის.

### მეუღე და პრივილეგია

სიცოცხლის ტირანს დიონისიოსს ჩვეულებად ჰქონდა ლექსების წერა. საკუთარი ლექსები მას ძლიერ მოსწონდა. მას შემდეგ, რაც იგი მეფედ გახდა, ლექსებს უკითხავდა ხელქვეითებს, რომელნიც პირფერობით უქებდნენ მათ. ერთხელ დიონისიოსმა რამდენიმე ლექსი აჩვენა სწავლულ ფილოქსენესს, რომელმაც მრავალი ნაკლი იპოვა მათში. ამან ისე გააბრაზა, ტირანი, რომ კრიტიკოსი ციხეში ჩაამწყვდევინა. რამდენიმე ხნის შემდეგ დიონისიოსმა იგი შეიწყნარა და ციხიდან დაბრუნების შემდეგ სადილად დაჰპატიჟა. მან ისევ წაუკითხა ფილოქსენესს რამდენიმე ლექსი და ისევ ჰკითხა აზრი. ფილოქსენესი მიუბრუნდა მეფის მცველებს, რომლებიც იქვე იდგნენ და სთქვა:— „დაბრუნეთ ისევ ციხეში!“

სთარგმნა ინგლისურიდან **გ. გ.—მ.**

## ნ ა ბ რ ი ს ს ა ხ ლ ი

1.

დილაადრიან ფოსტალიონმა დებეშა მომიტანა: „ქაიხოსრო გარდაიცვალა. ვასაფლავებთ კვირას. ელისაბედი“.

თუმცა დებეშას ორი კვირა დაეგვიანებინა, მაინც გავემზავრე სოფელში. მივივრინა, რა დაემართა ქაიხოსროს? სულ ერთი თვე არაა, რაც ერთად ვისხედით მისი განთქმული სახლის აივანზე. ქაიხოსრო ჯანზეც კარგად იყო და თავსაც ბედნიერად გრძნობდა. შევიღმა უშაღლესი დაამთავრა. უხაროდა მამას:

— ჩვენი კოლმეფურნეობა მილიონეოია. ჩამოვა შალიკო, დადგება აგრონომად, დაატრიალებს საქმეებს. სოფელსაც გამოადგება და მეც გამახარებსო...

აი სოფელიც. როგორ მხიბლავდა ეს სოფელი თავისი მაღალი ქანდრებით, ტიტებგანიერი მუხებით, მაღალი ოსებით. განსაკუთრებით მხიბლავდა ამ სოფელში ქაიხოსროს განთქმული ოდა. მაღალი ჩუქურთმებიანი, შვიდსვეტიანი, იგი ბეჭობიდან დაჭყურებდა სოფელს. მაგრამ მარტო ოდის სოღამაზე როდი მიბლავდა მე, საქმე ის იყო, რომ ოდა წაბლის ხისა იყო. ფიცრის სისქე—რვა თითის ზომისა ჰქონდა, თითო ფიცრისგან სამ-სამი ჩვეულებრივი გამოიხერხებოდა. საძირკველი ოცდაათი ათასის სიგრძისა ჰქონდა და ისიც ერთი მთლიანი ხისაგან. კარებზე ჩუქურთმები იყო ამოჭრილი ანატოლიელი ლაზებისაგან: სიმინდი, მტევანი, ხანჯალი და ცხენის თავი. ამ ჩუქურთმებს თურმე სამს წელიწადს კრიდნენ ლაზები. სიმინდის ტარა ისეთი ოსტატობით იყო ამოჭრილი წაბლის ხეზე, რომ მშირად მიხანავს, თუ როგორ მიადგებოდა ქათამი კარს და ჩაუნისკარტებდა. ამიტომ იყო, რომ კარების ქვემო ნაწილი სულ დაწინწკლი იყო და ტარობები ჭოვლა-ჭრულა. არის ხოლმე სიმინდის ასეთი ჯიში: კრელი. ეს სახლი ჩემთვის სამუხეუმო უნიკუმი. იყო, სადაც ძველი კოლხების სააღმშენებლო ნიჭის სხივი ჩამდგარყო. ამიტომ მიყვარდა

ეს სახლი. ქაიხოსროც ამყობდა მამისეული განძით. ქაიხოსროს ეზოს რომ მიეუახლოვდი—გელდა მეცა: ოდა აღარ იყო.

— ნუ თუ ელისაბედი ქელენისათვის გაჰყიდა ის შესანიშნავი ოდა! რომ საამისო არ უჭირდა ოჯახს?— გავიფიქრე მე.— ქაიხოსრო შეძლებული კოლმეფურნი იყო, ბრივადირი. რა მოხდა ისეთი?

ორმაგად მომერია ცრემლი. ჯერ ქაიხოსრომ დამწყვიტა გული, მერე ოდამ. მეტად დაღონებული შევივედი ეზოში. მიეუსამიძირე ელისაბედს. დიდის გაკვირვებით ვკითხე: ან ქაიხოსროს რა დაემართა, ან ოდას მეთქი?

— ოჰ, შვილო, ოდას გადაყვა ის უბედური! დაიქცა ჩვენი კარგი ოჯახი!— და ელისაბედმა ღვარად გადმოყარა ცრემლები.

როცა დაწყნარდა ასე მიაბო, სლუკუნით და სიტყვა-გაწყვეტით:

— შალიკომ აგრონომიული დამთავრა და ქალაქში მოეწყო საქმის მწარმოებლად. სოფელში ვერ ვიცხოვრებო, ნასწავლი კაცი ვარო. სადაც სარდაფი აღმოუჩენია იმ ცოდვის შვილს ოცი ათას მანეთად გადაირია მამამისი. კაპიკს არ გაუფხავნიო, თქვა. მე გულმა არ მომიხვეწა და ჩავედი თბილისს. ოთახი კი არა, რაღაც ჯუღრღმულია. თავისი ნებით კაცი როგორ იცხოვრებს შიგ? კედელს გამოეჭროო და სინათლე იქნებაო, მარწმუნებდა ჩემი ნასწავლი შვილი. ოცი ათასი ძვირი არააო. ხუთი კრდე კომენდანტს უნდა მიეცეო... თქვენც გადმოსახლდითო და თბილისში იცხოვრეთო... მზეს გაგვეტყე და სიბნელეში დაგვადე მეთქი? რა დამიშავებია, შვილო, ისეთი მეთქი? ან აგრონომი კაცს რა გინდა მკვდარ კედლებში მეთქი?.. ბევრი ვგვწმე; არ დამიჯერა... არ მივეციო ფული... მაშინ ჩამოვიდა მამასთან. ოჰ, ოჰ, რა ჩხუბი და უბედურება დატ-

რილდა ჩვენს ოჯახში! საწყალს მამამისს გული გაუწყდა... დავმარხეთ. შალიკომ მეორე დღევე ოდის მციდველი კარზე მომაყენა ჩემს შვილობაზე ხელი აიღეო, თუ ოთახისა და კოსტუმის შესაყრავი ფული არ მომეცეო. ქაიხოსროს დამარხვამ ბევრი ხარჯი მოითხოვა. ფული სადა მქონდა? გავყიდეთ, შვილო, წაბლის სახლი. შალიკო წავიდა, მე კი ავერ დავბინადე, სან-ზარეულლოში... თითქოს ორი მიცვალებული გადავასვენე ეზოდან: ქაიხოსრო და წაბლის სახლი. . . ეჰ..

2.

თბილისს რომ ჩამოვედი. შალიკოსკენ გავეჭანე. მინდოდა დამეტუქსა, დამერცხვინა. სადაც სარდაფში ძლიერ მოგებნე შალიკოს ბინა. შალიკო გამომეგება განარბული სახით და თავის საკანში შემძილვა. ნესტისა და ობის სუნისაგან სუნთქვა შემეკრა.

მოვსენი გულდა და დაუწყვე ჩაგონება შალიკოს. მაგრამ ვხედავდი: კედელზე ცერცვს ვაყრიდი. გაგბრაზდი და ქუდს ხელი დავავლე. უცებ კარი გაიღო, ვილაც პორტფელიანმა კაცმა ასანთს გაჰკრა და მოურიდებლად იკითხა:

— აქ ცხოვრობს შალვა დიდმამიშვილი?

— მე გახლავართ,— დიდის ამბით უპასუხა შალიკომ.— ეს ჩემი ბინაა.

— ბინა კი არა... ვინ მოგცათ უფლება სარდაფი ბინად გადაგექციათ?.. მაგრამ ეს არაა ახლა საინტერესო... ახლა უნდა აიბაროთ აქედან... ეს სახლი ძველია, საცხოვრებლად საშიშია და უნდა დავანგროთ... მე ვინა ვარ? რაიონის ინჟინერი.

შალიკოს გააქრულა.

მე კი გამეხარდა... ძალიან გამეხარდა...



# შევა არ მავს, ცახელი მიქილია

ჩამოშლულ თმის ინვალიდმა ვ.ლ-მ თბილისის სახეობის საბავშვო მომარაგების განყოფილებას მისუტანა შეამდგომლახა ორი მჭკრი შეშის ორდერის მისაღებად. ხოვმბრის ბირველი რიცხვებიდან იგი ვშედველად დაიარება მათთან და არამე თუ შეშის მიღებას; რიგინ პახუსხად ვერ ეღირხა.

ივტორი  
გერმონიძე  
ნიკოლოზი

თმში გრყავი, გავცურე  
ვისლა, ბუგი და ოდერი,  
ჩამომყვა ორი ჭრილობა,  
ორიკ ალალი ორდერი.  
ადრე დაზამთრდა, სიცივეში  
შეკბინა ცოტაოდენი,  
მითხრეს „გორტოპში“ წადიო—  
თუ გინდა შეშის ორდერი.  
ნოემბრის ცივი დღე არის,  
ქარი ქარს დაემობილა;  
ღმერთმა დალოცოს „გორტოპი“.  
აქ მაინც სითბო ყოფილა!  
ღიმილით შემხვდა მმართველი,  
გულზე ნათელი მომფინა,  
თუთუნიც შემომთავაზა,—  
ღიმილი არ მამყოფინა.  
—შეშას?—მოგართმევთ ბატონო,  
ოღონდ სამი დღე მაცალეთ!  
ჯერ ვერ დავტვირთეთ ვაგონი  
და მეზე ვეღარ დავცალეთ,  
ახლა თათბირზე მივდივარ,  
მისთვის ვამზადებ მასალებს...  
ხეთაში ხუთი ვაგონი  
ჯიბიდან ამომაცალეს.  
სამი დღის შეზღვევ ვეახელ  
მეც აფხაზური ბოდინით,  
მითხრეს: ბუაძე შეშაზე  
წასულიყო ოდიშში,  
ათ დღეს ხედიხედ ვიარე,  
გული გაწყალდა ლოდინში,  
ხაი თუ „გორტოპში“ ვთბებოდი,  
ხანაც ვძვრებოდი ლოგინში.  
მეცამეტე დღ ს გამოჩნდა  
სხივი სანატრელ დილისა:  
ახლა კი შეშა მექნება  
ნეკერხლისა თუ რცხილისა!  
შეველ, იქ დამხვდა მმართველი,  
ელვა მიჩვენა კბილისა,  
—აბა, თქვენ როგორ გაკადროთ

შეშა კოლხიდის ველისა!  
ღმერთმა და წყევლა, ვინა სთქვა  
ცეცხლი ნაჭები თხმელისა!  
ნედლი,—შაშხივით შეგბოლავს,  
ნაცრიოთ აგავსებს ხმელიცა...  
მითხრა: თუ გინდა სიკეთე,  
ერთ სამ დღეს კიდე შეიცა!  
მოვიცდი,—გულში ვიფიქრე,  
სხვა რა გზა მქონდა მითხარი!  
კაცის სიტყვა ხომ სიტყვაა,  
იგი მდიდარი მით არი,—  
გინდ ტახტად ჰქონდეს „გორტოპი“.  
გინდ ტახტი არავითარი...  
მით უფრო—სიტყვა მმართველის  
ნაღია როგორც ქ ითარი.  
სამჯერ სამი დღე ვუცადე,  
მეათე დღესაც შეველ,  
მჭმუავარედ იჯდა, დაენტო  
ღუმელი ცეცხლისმფრქვეველი.  
ფანჯრებს გაუხედე.—გარეთაც  
მოწყენით იყო ტყე-ველი...  
რა აჯავრებდა ტყ ს ბატონს?  
ვინ იყო გამომოკვეველი!  
—ღმერთმა დასწყვედო რკინიგზა,  
დასწვა ნავთმა და შეშამა!  
„ნარიადს“ ხედავ?!—იყვირა  
და ხელში მომაჩეჩა მან.  
—სანამ ხეთაში ჩავდი.  
ხეთამ ვაგონი შექადა...  
შენ რომ აქ ბევრიც გციოდეს,—  
„გორტოპმა“ რა ქნას, ბეჩავაქ  
რა ჰქნას საწყალმა „გორტოპმა“  
სადგურს სადგური ახლა,  
ვაგონს ვაგონი მი.ბა—,  
ავსო. ისევ დაცალა.  
გორში კომბოსტო დატვირთა,  
ხეთა—მცხეთაში გაცალა  
და ასე... მეშის ორდერი  
ხელიდან გამომაცალა.



აი, გავიდა სამი თვე  
ერთი ორდერის ლოდინში.  
აქ შეშა არავინ მომცა,—  
მე ვერ წაველი ოდიშში.  
თუმცა სიცივემ ჩამაგდო  
ასე უძროვოდ ლოგინში,  
დავჯექ და ვაყას ძინდიას  
ასე მივწერე ზოდინში:  
—ძმო მინდია, მეშეშეთ  
შტატი გვე-ვს კარგა მოზრდილი,  
თუმც, უკაცრავად ოჯახი  
შენებო როდი აქეთ მოშლილი!  
შენ თუ შენივე ჯალაბი  
დასტოვე გამოთოშლილი,—  
მათ თავის კერა გაათბეს,  
მე გამოყინეს ცოლშვილი...  
შენ ფრინველთა ენა გესმოდა,  
ვაქა-ფშაველას მინდია,—  
გესმოდა მხეცთა ჩივილი,  
ხის კენესა,—როცა სკრიდიან...  
„გორტოპს“ კი ჩვენი არ ესმის,  
თუც საჩივარი დილია,  
სად წავალ უორდეროთა?  
ოდი გათავდა—თმში ვარ!  
შეშას არ მომცემს „გორტოპი“  
ბურც რომ მქონდეს,—მომშვივა!  
თუ „გორტოპში“ ვარ,—თითვიით  
საკეში ვარ და ლომში ვარ,—  
შენ პოეტი ხარ უშეშოდ.  
მე-შეშით აღმასკომში ვარ!  
დალიე, დამალევიწე.  
ეღვინო ოხერ-ტიალი!  
ეგები მეყოს „გორტოპში“  
წაღმა-უუღლმა ტრიალი,—  
ეგები გულის ვარამი  
ჩაველა ამ ჯიხვის რკაშია...  
მე ვერ გავიგე, მკითხველო,—  
თუ ძმა ხარ, საქმე რაშია?  
პირსილვი ახხაზამა

## ღიბრება

(მეგობრული შარტი)

ნახ. დონისა

წიგნის ბალატის ცნობით 1921—1945 წ. წ. განმავლობაში ამხ.რ. გვე ჰქვამს გამოცემული ქვს 27 სახალწოდების წიგნი. ...130.800 საერთო ტირაჟით. ამათგან: „თეო“ გამოცემულია ცალკე წიგნად 3-ჯერ იმავე ავტორის კრებულებში დაბეჭდილია 4-ჯერ; „კიაკოკონა“ ცალკე წიგნად—2-ჯერ, კრებულგ-ბში—4-ჯერ. რუსთველი ამავე დროისათვის გამოცემულია 15-ჯერ (საერთო ტირაჟი 83 000) დანარ-ჩენი კლასიკოსები და მით უფრო ჩვენი თანამედროვენი სრულიად ვერ უძლებენ „თეოსთან“ და „კიაკოკონასთან“ შედარებას.





— მე ჩემს ქალაქს კარგად ვიცნობ, ვიცი ხად არ არის ღობე, ხად არის ჩამტვრეული ფარნები, ხად არ არის ტროტუარები!... მაგლობა ღმერთს პირველი წელი არ არის, რაც მე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ვმუშაობ.

# ნიანგის ფოსვა

გომბორი

**გომბორელს.** ნიანგი ფიქრობდა გომბორში საგარეკოდ ჩამოსვლას, მაგრამ თქვენმა ლექსმა იმდენად დააინტერესა, რომ ვალსწყვიტა თავისი განზრახვა ზაფხულისთვის აღარ გადადოს. მხოლოდ საქმე ისაა-ეგ თქვენი წერტის გამგე მელქუა თუ თავის „მარიფათებს“ არ მოაკლებს. ის თურმე წერტის გამგეობას კარგად ათავსებს კერძო მიკიტრობასთან:

მელქუას კერძო სავაჭრო  
გომბორში გახლავთ ცნობილი,  
ფინგანი მელქოს ოინებს  
შესცქერის ხელდაწყობილი.

საინტერესო კარავმა: როგორც სჩანს, ფინგანი ბოთლზე ხელდაწყობილი უნდა უყურებდეს მელქოს ოინებს. თქვენ კი გწყინთ, მაგრამ განა უფრო საწყენი არ იქნებოდა, რომ ეგ თქვენი ფინგანი ბოთლზე ფეხდაწყობილი შესცქეროდეს მელქუას ოინებს? თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ მელქოს გაკაწვრა და დასძენთ:

„... არ დაიჯერებთ, ეს მელქო  
ჩრდობა გახაკაწრა!“

შე კოკაცო, აქედან გომბორში ვინღათ ჩამოვეყვანათ საბჭოთა ვაჭრობის წესების ბოროტად დამრღვევთა მხოლოდ ვასავაწრად? ბარემ ავაგოთ ჩანგლის წვერზე და ის იქნება.

ეროვნული  
ნიგლიროთქვა

წულუაქიძე

**საჩივლს:** საწყალი თქვენი კოლმეურნეობის წისქვილი. თქვენი ქირი წაუღია და დაუბლებიხართ. კიდევ კარგი, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გიორგის, შაინც კარგად მოუხერხებია „მსუქანი“ აზრების გამოთქმა, თორემ სულ დაუსაბუთებელი დარჩებოდა თქვენი წისქვილის გაუქმების ამბავი:

„თათბირს, დაადგინეს,  
აზრი ხიტყვით გამხუჭუნეს:  
„ავაშენებთ უკეთესსო“  
და წისქვილი გააუქმეს“.

თქვენ გაკვირვებული კითხულობთ, თუ ახალს არ აშენებდა, გიორგიმ ძველი წისქვილი რატომ დაგვიანგრილა? ვერ მიხვდით? თავმჯდომარეს ალბად ბლომადა აქვს დაფქული. მაშ წისქვილი რალად უნდოდა?

ზმსტაზონი

**ბლიკვს:** თქვენი ადგილმრეწვის ფესსაცმელების სახელოსნო პირდაპირ „შიოს მარანს“ გვაგონებს: თურმე ყველა თავისკენ მიი-თლის, თუ კი რამ ჩამოსათლელია და მხიარულად მიდის ვაჭრობა:

გამოქრან, შეეკრავენ,  
„შეკიალ“ გეტყვას პეტრე,  
მაგრამ ტაქსა არ მიხსენო,  
დამზადებელ ღმერთს გავედრებ.  
დაკი განდა? იქნებ შევრო,  
მზად იქნება ჩემო დაო,  
ხელას ჭუჭუი მოაყოლენ.  
რამ ხაჩქარიდ მოგიტაო!..

გრათის სიტყვით, მოდის და მოდის „ხელის ჭუჭყი“, გახურებულა მუშაობა უნიხროდ, ხოლო ყველა ამის შედეგად წლიური გეგმა 14 პროცენტით შესრულებულა. ესეც საქმეა იმ პირობებში, როცა

ფულს ჯიბისკენ აცოცებენ  
ვის რამდენიც მოუნდება?

თქვენ გვეკითხებით რა გამოასწორებს „ხელის ჭუჭყის მოყვარულთა“

ნიანგი ფიქრობს, რომ მათ არაფერი გამოასწორებს, მაგრამ სახელოსნოს საქმე კი უმაღლეს გამოსწორდება, როცა მას თქვენგან აღწერილ ჭუჭყს მოაშორებენ.

ხაშუჩი

**არკადეს:** უნივერსალური კინოთეატრი გქონიათ: საწყობში კომბოსტო ღებება. დარბაზში მაყურებლები იყინებიან, ხოლო სალაროსთან ხალხი ბუზივით ირევა. მაგრამ ყველაზე დიდ ცოდვად თქვენ ფოიეს სიპატარავე მიგაჩნიათ.

ფოიედ არის პატარა,  
იბაკს გააქვს ზანაზარი,—  
ამაწინ ჩატყდა, მრავალმა  
წეკნი იმტვრია, ან თავი.

ეს ლექსი, ალბად მაშინდელი დაწერილია, თორემ, სხვანაირად გაუგებარი გახდებოდა ამდენი შეუთავსებლობანი.

ბენჯინს ხიდთან

მთელ რიგ რაიონებში ბაგირზე დაბეჭდილი ხიდები („ბონდები“) სრულიად ფიცრებ აყრილია და წყლის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა ჯაბახის ხელოვნებას მოიხსობს.

ნახ. ა. კანდელაკისა



თავს უკმაპო: არ უსამგლევე! რა ინტრიგან კაცის მგავხად ამხირდი, უენ ხომ ხიდზე არ მიდიხარ, რას ვაშინებს ბეწვის ხილი, დე გლეხებმა იჯამბაზონ, ხაქმე მაინც არ აქვთ დილი, ფონზე მშრალად გამოეფანე, რაგაქვს მათი დახარბი.